ვაშა ახალ საბჭოთა საქართველოს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 თებერვალი
კვირა
1973
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 48 (15565)

ერთიან ოჯახში

გ. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

□

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ ღირსსახსოვარ თარიღს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 52 წლისთავს. სულ ცოტა ხნის წინ კი დიდი ზეიმით გადავიხადეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილე. ეს იყო დღესასწაული ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხისა, რომლებიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეებით არიან აღზრდილი და აკავშირებთ ძმური მეგობრობა.

დროის განვლილი პერიოდი აღინიშნა საბჭოთა ადამიანების მნიშვნელოვანი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. გაიზარდა ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, კიდევ უფრო განვითარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმზე აღინიშნა, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად კიდევ უფრო დაჩქარდა ჩვენი ქვეყნის განვითარების ტემპი, კიდევ უფრო გაძლიერდა ცხოვრების მაჯისცემა სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

მთელი ხალხი უჭერს მხარს საგარეო პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაბამისად. საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ცნობას ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის, საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამიერიდან მრავალტანჯულ ვიეტნამელ ხალხს შესაძლებლობა ეძლევათ ააშენოს მშვიდობიანი ცხოვრება, განავითაროს თავისი ეკონომიკა და კულტურა.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა.

ქართველი ხალხის დღესასწაული ემთხვევა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 55 წლისთავს. ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად შექმნილმა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად გამოატარეს თავიანთი საბრძოლო დროშები საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე. მუდამ გვეხსომება საბჭოთა მეომრების საგმირო საქმენი სამამულო ომის წლებში. ჩვენი შეიარაღებული ძალები თავდადებით ემსახურებიან სოციალისტურ სამშობლოს, ფხიზლად დგანან მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სადარაჯოზე, მშვიდობისა და სოციალიზმის სადარაჯოზე.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს დიდად ვამაყობდეთ ყოველივე იმით, რასაც მიაღწია ჩვენმა ერთიანმა სოციალისტურმა სამშობლომ — სსრ კავშირმა. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავი, რომელიც ზეიმით აღნიშნეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, ლენინური იდეების ნამდვილი ტრიუმფი იყო და მათი შემდგომი განუხრელი განხორციელების ახალი მძლავრი სტიმული გახდა.

საბჭოთა ადამიანების გრძნობები, ფიქრები და მისწრაფებანი მკაფიოდ გამოხატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის ღრმად შინაარსიან მოხსენებაში, რომელიც გააკეთა მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო სხდომაზე. ეს იყო საბჭოთა ხალხის დაუცხრომელი შთაგონებული შრომის ნამდვილი ჰიმნი, ხალხისა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა სოციალისტური საზოგადოება, შექმნა მძლავრი ინდუსტრია, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

ამ გმირულ შემართებაში ქართველი ხალხის შრომის მნიშვნელოვანი წილიც არის. კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებს იგი გონების თვალს ორმოცდათორმეტი წლის მანძილზე განვლილ სახელოვან გზას. ეს იყო საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ნამდვილი აყვავების წლები.

რესპუბლიკის მიღწევებში დიდი წვლილი შეაქვთ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მშრომელებს.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის წარმატებანი მკაფიოდ მოწმობენ სსრ კავშირის სოციალისტურ ერთა მძლავრ აყვავებას, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შრომით შექმნა მსხვილი თანამედროვე მრავალდარგოვანი მრეწველობა, რომელსაც აქვს მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგები. შეიქმნა და წლითიწლობით სულ უფრო ფართოვდება შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ცემენტის, ქაღალდის, აბრეშუმის, მაუდის, ბამბეულის, კონსერვის, ჩაის, ღვინისა და ინდუსტრიის სხვა დარგები. სამრეწველო წარმოების მთლიანი მოცულობა 1921 წელთან შედარებით 161-ჯერ გაიზარდა.

დღევანდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას აქვს მტკიცე ენერგეტიკული ბაზა. დამახასიათებელია, რომ ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპი, როგორც წესი, უსწრებდა მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპს. მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნის შედეგად ახლა რესპუბლიკაში ერთ წელიწადში იწარმოება 9 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია. ეს კი ნიშნავს, რომ 1921 წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება 433-ჯერ გაიზარდა!

მსხვილ ინდუსტრიასთან ერთად განვლილ წლებში ლენინური კოოპერაციული გეგმის შესაბამისად შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. მოხდა ცვლილებანი მის მიმართულებაში. გაიზარდა ძვირფასი კულტურების ფართობები, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი მაღალსაქონლური დარგები. საკმარისია ითქვას, რომ 1913 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტემპი ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1971 წელს 5,6-ჯერ დაჩქარდა, წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ კი 1.038 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის წარმატებულმა განხორციელებამ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის აყვავებას. მის მიერ შექმნილი კულტურული და სულიერი ღირებულებანი, რომლებსაც ღრმად აქვთ გადგმული ფესვები საუკუნეთა სიღრმეში, ჩვენს დროში სწრაფად განვითარდა.

საბჭოთა წყობილებამ შექმნა განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების უაღრესად ხელშემწყობი პირობები, გაამდიდრა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება. რესპუბლიკაში არის 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მუშაობს 5.200 მასწავლებელი, მათ შორის 400 მეცნიერებათა დოქტორი, ორი ათასზე მეტი კანდიდატი. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ ეროვნულ კადრებს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგისათვის. ქართველ სპეციალისტთა დიდი არმია შემოქმედებითს შრომას ეწევა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

უმაგალითოდ აყვავდა მეცნიერება. მსოფლიო აღიარება მოიპოვეს მათემატიკოსთა, ფიზიოლოგთა, ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, გეოლოგთა ქართულმა სკოლებმა... ჩვენი მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს თანამედროვე მეცნიერების ყველა მიმართულებით. ქართველი მეცნიერები წყვეტენ თეორიულ და გამოყენებით მეცნიერებათა დარგის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, რომლებიც ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას უკავშირდება. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფართოდ არის გაშლილი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა კიბერნეტიკის, მართვის სისტემების, სამთო მექანიზმთა, მანქანების მექანიკის, სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის დარგში. დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევა წარმოებს ბირთვული და კოსმოსური ფიზიკის დარგში.

წამყვან ქართველ მეცნიერთა დიდი დამსახურების აღიარების მკაფიო დადასტურებაა ის, რომ ბევრ მათგანს მიენიჭა ლენინური და სახელმწიფო პრემიები, ჩვენი ცალკეული მეცნიერები არჩეული არიან საზღვარგარეთის აკადემიებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების საპატიო წევრებად.

ქართველი ხალხი იცავს და განაგრძობს თავის ძველთაძველ ტრადიციებს ხელოვნებაში. ჩვენი ხალხის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებმა სახელი მოიხვეჭეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. საბჭოთა კავშირის ბევრი ხალხის ენაზე, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოცემულია ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ ეწყობა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები. ჩვენი თეატრებისა და ცალკეული გამოჩენილი შემსრულებლების გასტროლები. გვახარებს ქართული კულტურის პოპულარობა. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმას, ვინც სახელს უხვეჭს ქართულ კულტურასა და ხელოვნებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში მომხდარმა დიდმა სოციალურ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა განაპირობეს ხალხის მატერიალური და სულიერი დონის ამაღლება. გაიზარდა ხელფასის ფონდი, განვითარდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება. ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად გადიდდა მოსახლეობის მოთხოვნა არა მარტო კვების პროდუქტებზე, არამედ განსაკუთრებით სამრეწველო საქონელზეც და უწინარეს ყოვლისა ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, ესე იგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოხმარების სტრუქტურა.

ფართო გაქანება მიეცა საბინაო მშენებლობას. ამან საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის საბინაო პირობები და აგვემაღლებინა ცხოვრების საერთო დონე როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი, ყველა ეროვნების მშრომელთა აღმშენებლობითი შემოქმედების დაუშრეტელი წყარო საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობა. ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობა, მეგობრობა და ურთიერთდახმარება ჩვენი ცხოვრების კანონად იქცა. ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებს, ყველას, ვინც ქართველი ხალხის მხარდამხარ შრომობს, ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის სწრაფ ტემპს, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ განვითარებას...

მეცხრე ხუთწლედის განვლილი ორი წლის შედეგები მოწმობენ, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. გაიზარდა ეროვნული შემოსავალი — ეკონომიკის ყველაზე განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს სახალხო მოხმარებისა და დაგროვების ზრდას, ესე იგი შემდგომი გაფართოებული კვლავწარმოების პირობების შექმნას.

სახალხო მეურნეობის განვითარება 1971-1972 წლებში გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი წარმოება ძირითადად ადგა ინტენსიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გზას, რომ დიდი როლი შეასრულა მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევების დანერგვამ პრაქტიკაში, ხორციელდებოდა სამრეწველო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფართო პროგრამა.

მაგრამ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში მიღწეულ ერთგვარ წარმატებებთან ერთად გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანიც, რომლებმაც გარკვეული სიძნელენი შექმნეს მუშაობაში და შეანელეს განვითარების წინათ დასახული ტემპი. მთელმა რიგმა საწარმოებმა შარშან ვერ შეასრულეს საწარმოო გეგმები, შეამცირეს შრომის ნაყოფიერება, ყაირათიანად არ გამოიყენეს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში არ იცავენ სახელმწიფო და შრომის დისციპლინას, შესუსტებულია მომთხოვნელობა. სწორედ მუშაობის ამ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე იყო პირდაპირი და პრინციპული ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე. მოხსენებასა და გამოსვლებში საფუძვლიანად იყო გაანალიზებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობა, გამოვლინებული იყო ხარვეზები და შეცდომები, მათი გამომწვევი მიზეზები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მუშაობაში, მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში ქვაკუთხედია დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საიუბილეო სხდომაზე და მის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმზე. თეორიული დებულებანი და პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა, უნდა დაედოს საფუძვლად რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ორგანოების მთელ მუშაობას გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების უთუოდ შესრულებისათვის, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს.

მთელი ხუთწლიანი დავალებების შესრულება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამთავრდება 1973 წელი, როგორ შესრულდება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები. მიმდინარე წლის პირველი თვეების შედეგები მოწმობენ, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადმა დარგებმა კარგი სტარტი აიღეს. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის დარგშიც დაისახა ერთგვარი გარდატეხა. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის. იანვარსა და თებერვალში ცალკეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება უკეთ წარმოებს, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

ამრიგად, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1973 წელი წარმატებით დავიწყეთ. რესპუბლიკის მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ქალაქსა და სოფელში მატულობს მასების შრომითი აღმავლობა, ჩნდება ახალი პატრიოტული წამოწყებანი.

ახლა ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო განმტკიცდა შემოქმედებითი, აღმშენებლობითი შრომის ატმოსფერო, ეს კი კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარია.

თავის ეროვნულ დღესასწაულს ქართველი ხალხი შეეგება შემოქმედებითი ძალებით აღსავსე. რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მხურვალედ ისწრაფვიან, რომ პირნათლად შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიადი ამოცანები.

1921 1973

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო!

ს. კილაძის პლაკატი.

დარბაზობა პრაღის კრემლში

პრაღა, 23 თებერვალი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობამ დღეს პრაღის კრემლში გამართეს დარბაზობა ჩეხოსლოვაკიის მშრომელი ხალხის თებერვლის გამარჯვების 25 წლისთავთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტთან დაკავშირებით.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **გ. ჰუსაკი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლ. სვობოდა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ლ. შტროუგალი**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში **ს. ვ. ჩერვონენკო**, სხვა საბჭოთა წარმომადგენლები.

დარბაზობაზე იყვნენ სოციალისტური ქვეყნების დიპლომატები.

დარბაზობამ ჩაიარა გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში, რაც ახასიათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ურთიერთობას.

ლ. ი. ბრეჟნევი პრაღიდან გაემგზავრა

პრაღა, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს პრაღიდან სამშობლოში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი**, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მოწვევით ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო რესპუბლიკის მშრომელთა თებერვლის გამარჯვების 25 წლისთავის ზეიმში.

პრაღის მთავარ ვაგზალზე ლ. ი. ბრეჟნევის გასაცილებლად მოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **გ. ჰუსაკი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლ. სვობოდა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ლ. შტროუგალი**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ფედერალური მთავრობის მინისტრები, ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში **ს. ვ. ჩერვონენკო**, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის, საბჭოთა ჯარების ცენტრალური ჯგუფის სარდლობის წარმომადგენლები, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მოქმედი საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები.

ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მოწვევით 1973 წლის 22-24 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მეგობრულ ვიზიტად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეაქციაზე ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა თებერვლის გამარჯვების 25 წლისთავის ზეიმში.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ყოფნის დროს გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები და საუბრები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან **გ. ჰუსაკთან**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან **ლ. სვობოდასთან**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სამდივნოს წევრებთან.

ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევს გააცნეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობა, რომლის მიზანია სოციალიზმის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურაში მოპოვებული მიღწევები. ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის, მშრომელთა მონაპოვრები აისახა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის თებერვლის პლენუმის მასალებში, რომელმაც შეაჯამა სოციალისტური გზით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის განვითარების 25 წლის შედეგები. პლენუმმა განიხილა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობა და პერსპექტივები, რაც დიდმნიშვნელოვანი სტიმული იქნება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენებასთან დაკავშირებულ

(დასასრული მე-2 გვ.)

ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში

(დასასრული)

პრობლემათა წარმატებით გადასაჭრელად პარტიისა და ხალხის მეცადინეობის მობილიზაციისათვის.

საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გამოცდილება ახალი ძალით ცხადყოფს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის წამყვან როლს სოციალისტურ საზოგადოებაში, მისი რევოლუციური ტრადიციების შენარჩუნებასა და გამრავლებას. გამოითქვა რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, რომლებიც თავიანთი მებრძოლი მარქსისტულ-ლენინური ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ადგანან 1948 წლის თებერვლის ძლევამოსილ გზას, კიდევ უფრო აყვავებენ თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ჩეხოსლოვაკიელ ამხანაგებს გააცნო ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი წყვეტენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მესამე, გადამწყვეტ წელს, უამბო, თუ როგორ ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი. ჩეხოსლოვაკიის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილებას, საბჭოთა ხალხის წარმატებებს ეკონომიკის, კულტურის განვითარებასა და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სხვა სფეროში. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერენ მოძმე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური განვითარების ყველა ეტაპზე. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები დიდად აფასებენ ამ მხარდაჭერას, მიაჩნიათ, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის თანამიმდევრული ინტერნაციონალისტური კურსის გამოვლინება.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა ორი პარტიისა და ქვეყნის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების გამო. წარმატებით ვითარდება ეკონომიური თანამშრომლობა როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისე სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსურ პროგრამაში ორი ქვეყნის მონაწილეობის საფუძველზე.

შეხვედრის მონაწილეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს ორი პარტიის თვალსაზრისისა და მოქმედების ერთიანობა ყველა აქტუალურ საერთაშორისო საკითხში. სოციალისტური თანამეგობრობის მიზანდასახულმა შეთანხმებულმა პოლიტიკამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესში.

ახლა ევროპის პოლიტიკის ცენტრშია უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირისათვის მზადება, რომელსაც შეუძლია დასაბამი მისცეს კონტინენტის ომისშემდგომი ისტორიის ახალ ეტაპს — მყარი მშვიდობის, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის ეტაპს, რომელიც ყველა ხალხის ინტერესებს შეესაბამება. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭიროა მოწესრიგდეს პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ ართულებენ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ჩეხოსლოვაკიელ ხალხის სამართლიან მოთხოვნას, რომ ბათილად და მართლსაწინააღმდეგოდ ცნონ მიუნხენის დიქტატი.

ამ ბოლო დროის უდიდესი საერთაშორისო მოვლენა იყო ვიეტნამის ომის შეწყვეტა. ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებას უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია იმედოვნებენ, რომ მომავალი საერთაშორისო კონფერენცია ვიეტნამის შესახებ განამტკიცებს მიღწეულ შეთანხმებებს და ხელს შეუწყობს იმას, რომ გმირ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელ ხალხს შეეძლოს მშვიდობის პირობებში განახორციელოს თავისი ეროვნული მისწრაფებანი.

მოლაპარაკების მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ლაოსში მიღწეულია შეთანხმება მშვიდობის აღდგენისა და ეროვნული თანხმობის შესახებ. მათ იმედი აქვთ, რომ მალე შესაძლებელი გახდება ომის კერის მთლიანი ლიკვიდაცია ინდოჩინეთში.

საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიამ გამოთქვეს რწმენა, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მოვალეობაა ყოველი ღონე იხმარონ, რათა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი მოწესრიგდეს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისა და ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის საფუძველზე.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალების აქტიური ერთობლივი მოქმედება აგრესიისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ სულ უფრო საგრძნობ შედეგებს იძლევა. ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმ უდიდეს წვლილს, რომელიც ამ საქმეში შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ სამშვიდობო პროგრამას. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის პოზიტიურ ძვრებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია განაგრძობენ ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისა და განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის, ახალი გამარჯვებების მისაღწევად.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა შეხვედრამ ჩაიარა გულითად ვითარებაში და ცხადყო აზრთა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში.

ინსტიტუტის დროშას ლენინის ორდენი ამშვენებს

გუშინ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა მრავალათასიან კოლექტივს. 24 თებერვალს ამიერკავკასიის უდიდესი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების დროშაზე შრომის წითელი დროშის ორდენის წინ აციაფდა ლენინის ორდენი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მთავრობის ეს უმაღლესი ჯილდო ინსტიტუტს მიენიჭა სპეციალისტთა მომზადებასა და სამეცნიერო კვლევაში დიდი დამსახურებისათვის.

ამას წინათ რესპუბლიკის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლისთავი. ამ წლების მანძილზე იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის ინჟინერთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მძლავრი კერა, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი უდიდესი სამეცნიერო ცენტრი გახდა.

75 სპეციალობის დარგებით 52 ათასი მაღალკვალიფიციური ინჟინერი მოამზადა საინჟინრო კადრების ამ სამჭედლომ. უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილები ნაყოფიერად შრომობენ მრავალრიცხოვან მშენებლობებზე, სამრეწველო საწარმოებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო ინსტიტუტებში და, როგორც წესი, დიდი ავტორიტეტი აქვთ დამსახურებული და ასახელებენ მშობლიურ ინსტიტუტს.

4 ათასამდე მეცნიერი და სპეციალისტი ნაყოფიერად აწარმოებს თეორიულ და გამოყენებით კვლევას პოლიტექნიკური ინსტიტუტის 102 კათედრაზე. მარტო 1972 წელს უმაღლეს სასწავლებელში წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტმა 3,5 მილიონი მანეთი შეადგინა.

24 თებერვალს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივისათვის ლენინის ორდენის გადაცემას.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ბ. გ. გილაშვილი, შ. დ. კაჭახიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის სამშენის თავმჯდომარე ა. გ. ციციშვილი, თვალსაჩინო მეცნიერები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვით მიტინგი გახსნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ბუაჩიძემ.

სიტყვა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ, რომელმაც წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლენინის ორდენით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაჯილდოების შესახებ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. ძოწენიძემ ლენინის ორდენი მიაბნია ინსტიტუტის დროშას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გ. ს. ძოწენიძემ ინსტიტუტის კოლექტივს მიულოცა მთავრობის საპატიო ჯილდო და უსურვა შემდგომი წარმატებანი მაღალკვალიფიციური ინჟინრების მომზადებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის პრორექტორმა, პროფესორმა ს. ჯორბენაძემ.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა კათედრის გამგემ, პროფესორმა გ. ქარცივაძემ, საინფორმაციო-საზომი ტექნიკის კათედრის გამგემ დოცენტმა ი. ზედგენიძემ, სამშენებლო ფაკულტეტის მე-3 კურსის ფრიადოსანმა სტუდენტმა ი. კიტოვანმა, ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიანტმა ლ. გოძელიძემ, პროფესორმა ი. ბუაჩიძემ. ორატორებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას საპატიო ჯილდოსათვის, იმ უდიდესი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რომლითაც ეკიდებიან სტუდენტთა ცხოვრებას და მისცეს პირობა, რომ მთავრობის საპატიო ჯილდოს ინსტიტუტის აღსაზრდელები უპასუხებენ ახალი წარმატებებით სწავლასა და შრომაში, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები და მასწავლებლები კიდევ უფრო აამაღლებენ აღმზრდელობითი, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დონეს.

საზეიმო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. მან გულითადად მიულოცა ინსტიტუტის პროფესორებს, მასწავლებლებსა და სტუდენტებს ლენინის ორდენით დაჯილდოება, აღნიშნა სასწავლებლის კოლექტივის დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადებასა და მეცნიერულ კვლევაში, უსურვა ახალი დიდი წარმატებანი შრომასა და სწავლაში, გამოთქვა რწმენა, რომ უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი შეასრულებს მის წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს. (საქინფორმი).

ჰავანაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია

24 თებერვალს მოსკოვიდან ჰავანაში გაფრინდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ნ. ნოვიკოვის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირ-კუბის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის მესამე სხდომის მუშაობაში.

სხვა გამცილებელთა შორის შერემეტიევოს აეროდრომზე იყო კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რაულ გარსია პელაესი. (საკდესი).

ნგუენ ზუი ჩინი მოსკოვში ჩამოვიდა

23 თებერვალს მოსკოვში ჩამოვიდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ ზუი ჩინი, რომელიც მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციაზე. კონფერენცია პარიზში დაიწყება 26 თებერვალს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის დელეგაცია გაემგზავრა

საერთაშორისო კონფერენციაზე ვიეტნამის შესახებ

24 თებერვალს მოსკოვიდან პარიზში ვიეტნამის შესახებ საერთაშორისო კონფერენციაზე გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: ა. ა. გრომიკო (დელეგაციის მეთაური), ნ. პ. ფირიუბინი, ი. ნ. ზემსკოვი, მ. ს. კაპიცა, გ. მ. კორნიენკო, ს. ს. ნემჩინა.

პარიზში დელეგაციას შეუერთდება სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში პ. ა. აბრასიმოვი, რომელიც აგრეთვე დანიშნულია დელეგაციის წევრად. (საკდესი).

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოსვლის 125 წლისთავისათვის

მარქსიზმის უკვდავი ქმნილება



125 წლის წინათ, 1848 წლის დაახლოებით 24 თებერვალს, ლონდონში გამოვიდა მეცნიერული კომუნიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". „მანიფესტი", რომელიც პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა დაწერეს „კომუნისტთა კავშირის" დავალებით, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამა, სამუდამოდ შევიდა ისტორიაში როგორც მარქსიზმის უდიდესი ნაწარმოები. ახასიათებდა რა მის იდეურ სიმდიდრეს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ამ ნაწარმოებში გენიალურად ნათლად და მკაფიოდ მოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც მოიცავს აგრეთვე სოციალური ცხოვრების სფეროს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარების შესახებ, კლასობრივი ბრძოლისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის — პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლის თეორია".

მოსკოვის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმში წარმოდგენილია უნიკალური მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ იქმნებოდა „კომუნისტთა კავშირი", როგორი იყო „მანიფესტის" ავტორთა შემოქმედებითი ლაბორატორია. ამ მასალებს შორის არის „კომუნიზმის პრინციპების" ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის პირი. ეს არის „კომუნისტთა კავშირის" პროგრამის პროექტის პირველი მონახაზი, რომელიც ენგელსმა დაწერა. იქვე „მანიფესტის" შავი ხელნაწერის გვერდები — მეორე თავის ნაწყვეტები. ტექსტის პირველი სტრიქონები დაწერილია ჟენი მარქსის ხელით და მოგვაგონებენ, თუ რა დიდ მონაწილეობას იღებდა იგი მარქსის მუშაობაში, როგორც ერთგული თანაშემწე და მდივანი. აქვეა „მანიფესტის" მესამე თავის გეგმის პირველი მონახაზები, რომლებიც მარქსმა დაწერა 1847 წლის დეკემბერ-1848 წლის იანვარში ერთ-ერთი რვეულის გარეკანზე.

„მანიფესტის" გამოცემის 125 წლისთავისათვის მუზეუმის ამ განყოფილებაში გაიხსნა მარქსიზმის ამ უკვდავი ქმნილების იშვიათ გამოცემათა გამოფენა.

გამოფენაზე ფართოდ წარმოდგენილია რევოლუციამდელ რუსეთში გამოსული, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოცემული, საზღვარგარეთ გამოსული „მანიფესტის" ეგზემპლარები.

„მანიფესტის" ერთ-ერთი პირველი თარგმანი რუსულ ენაზე გამოვიდა 1882 წელს გ. ვ. პლეხანოვის თარგმანით. მარქსმა და ენგელსმა მისთვის სპეციალური წინასიტყვაობა დაწერეს.

ვიტრინაშია ვ. ი. ლენინის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მარქსიზმის ისტორიას და ისტორიულ ბედს.

საბჭოთა კავშირის წიგნის პალატის მონაცემებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გენიალური ნაშრომი ჩვენს ქვეყანაში გამოიცა 443-ჯერ. იგი გამოცემულია სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების 74 ენაზე. ამ გამოცემათა საერთო ტირაჟია 23 მილიონ 854 ათასი ცალი.

(საკდესის კორ.).

ურღვევი მეგობრობა

გულითადად შეხვდა სოციალისტური ჩეხოსლოვაკია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მიწვევით პრაღაში ჩავიდა ზეიმზე ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა თებერვლის გამარჯვების 25 წლისთავის გამო. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოებისა და ბევრი სხვა ქვეყნის პრესა აღნიშნავენ იმ ღრმა და გულწრფელ გრძნობებს, რითაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალზე. გაზეთები ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურღვევ და მტკიცე ძმურ მეგობრობას, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

პრაღა. ის გრძნობები, რომლებსაც ამ დღეებში განიცდიან ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, მკაფიოდ გამოხატა თავის წერილში გაზეთ „რუდე პრავო"-ს რედაქციისადმი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებმა ფ. სვობოდოვამ. „ჩვენ დიდი ხანია მოუთმენლად მოველოდით ამ დღეს, ღირსშესანიშნავი იუბილეს ზეიმის დღეს. როცა ადამიანი სიხარულს განიცდის, მუდამ სიამოვნებს, თუ შეუძლია გაუზიაროს ეს სიხარული უახლოეს მეგობრებს. მაშინ ეს სიხარული კიდევ უფრო დიდი ხდება, წერს ფ. სვობოდოვა. მე განსაკუთრებით ნათლად შევიგრძენი ეს, როცა მოვისმინე ცნობა, რომ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ჩამოდის ჩვენთან თებერვლის 25 წლისთავის დღესასწაულზე. გვიხარია, რომ იგი ჩვენთან არის, გვსურს, რომ მოეწონოს აქაურობა, რომ ჩვენთან ერთად ხარობდეს განვლილი 25 წლის შედეგებით, რომ მან ჩვენი გულითადი სალამი გადასცეს საბჭოთა ადამიანებს, რადგან მათ თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს დღევანდელ ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებაში და მშვიდობიან შრომაში".

ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდეს რეპორტაჟები იმის შესახებ, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩამოვიდა საპატიო საბჭოთა სტუმარი, იმის შესახებ, თუ რა ძმური შეხვედრა მოუწყვეს მას ქალაქების მცხოვრებლებმა, სადაც ჩერდებოდა სპეციალური მატარებელი, თუ რა გულითადად შეხვდნენ ერთმანეთს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელები, პრაღელები დედაქალაქის მთავარ ვაგზალზე.

ბერლინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა პრაღაში გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის ბრწყინვალე მანიფესტაციად, აღნიშნავს დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი".

ბუდაპეშტი. უნგრეთის ყველა გაზეთი მსხვილი სათაურებით პირველ გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციებს ძლევამოსილი თებერვლის 25 წლისთავის გამო მოძმე ჩეხოსლოვაკიაში გამართული ზეიმის შესახებ, ჩეხოსლოვაკიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნის შესახებ.

„ნეპსაბადშაგი" ბეჭდავს ამხანაგ გ. ჰუსაკისათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსს და ხაზს უსვამს იმ სიტყვებს, რომ ჩეხოსლოვაკიაში განმტკიცებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

სოფია. ბულგარეთის საზოგადოებრიობა, ქვეყნის მშრომელები დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით ადევნებენ თვალს მოძმე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში თებერვლის 25 წლისთავის ზეიმს და აღნიშნავენ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წარმატებებს. „ინტერნაციონალიზმი მოქმედებაში" — ასე ერთსულოვნად აფასებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრესა, რადიო და ტელევიზია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრულ ვიზიტს მოძმე ჩეხოსლოვაკიაში.

ვარშავა. პოლონეთის პრესა ფართოდ აშუქებს 1948 წლის თებერვლის რევოლუციურ ამბებში ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა გამარჯვების 25 წლისთავის დღესასწაულს. ყველა გაზეთი ბეჭდავს ინფორმაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პრაღაში ყოფნის შესახებ, ხაზს უსვამს იმ გულითად შეხვედრას, რომელიც მშრომელებმა მოუწყვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს.

გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორებს მოჰყავთ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის შინაარსი და ხაზს უსვამენ მაღალ შეფასებას, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა მისცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. ჰუსაკის საქმიანობას ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებისათვის.

ბელგრადი. ტანიუგის სააგენტო თავისი პრაღელი კორესპონდენტის ინფორმაციაში იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ლენინის ორდენი გადასცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გ. ჰუსაკს, მოჰყავს ადგილებს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან.

ვენა. ყველა დღევანდელი გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პრაღაში ჩასვლის შესახებ. „გულითადი მიღება პრაღაში" — ასეთი სათაურით ამ თემაზე ცნობას ბეჭდავს გაზეთი „ფოლქსშტიმე".

ბონი. „ფრანკფურტერ რუნდშაუ" პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პრაღაში ყოფნის შესახებ და ხაზს უსვამს: პრაღაში ჩავიდა პატივსაცემი და საპატიო სტუმარი".

რომი. დღეს ყველა იტალიური გაზეთი ბეჭდავს ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტად ჩასვლის შესახებ, ამასთან ხაზს უსვამს იმ გულითად მასპინძლობას, რომელიც ჩეხოსლოვაკიელმა მშრომელებმა საბჭოთა სტუმარს გაუწიეს.

ნიუ-იორკი. სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის 25 წლისთავის დღესასწაული ნიუ-იორკის დღევანდელი გაზეთების ერთ-ერთი ძირითადი თემაა. „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღწერს თუ როგორ მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. გაზეთი ბეჭდავს ფოტოსურათს.

მსოფლიო დღეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი, შეშინებულნი აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ გაზრდილი ოპოზიციით, აძლიერებენ შეიარაღებულ ძალებს. ძირითადად ზრდიან პირად შემადგენლობას, რომლებსაც აიარაღებენ უახლესი იარაღით.

სურათზე: მიმდინარეობს რასისტების სამხედრო მომზადება. ისინი ყოველ წუთს მზად არიან მონაწილეობა მიიღონ სადამსჯელო ოპერაციებში და სისხლში ჩაახრჩონ ყოველგვარი ოპოზიცია.

კამერა პრეს-საკდესის ფოტო.

სენატის ოპოზიცია

ვაშინგტონი, 24 თებერვალი. (საკდესი). სენატის ასიგნებათა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 30 აპრილის შემდეგ შეწყვიტოს უცხო სახელმწიფოებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პროგრამა.

უცხო სახელმწიფოების დახმარების პროგრამა, რომელიც ვაშინგტონისათვის სასურველი რეჟიმების მხარდაჭერისა და ამერიკის ინტერესების უზრუნველყოფის საშუალებაა, სულ უფრო ძლიერ ოპოზიციას აწყდება კონგრესში. შარშან სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთლიანად წყვეტს ამ პროგრამას. მხოლოდ მთავრობის ზემოქმედებით მიიღეს ეგრეთ წოდებული „რეზოლუცია ვადის გაგრძელების შესახებ", რომელიც შესაძლებლობას აძლევს უცხოეთის დახმარების პროგრამას დროებით საფუძველზე იმოქმედოს მიმდინარე წლის მარტამდე.

უფრო ადრე წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა ამ პროგრამის გაგრძელებას 30 ივნისამდე.

მოკლედ

- **ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა** მუჯიბურ რაჰმანმა გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ბენგალი გამოცხადებულია ოფიციალურ ენად ქვეყნის ადმინისტრაციული სამსახურის ყველა დონეზე.
- **ინგლისის ჯარები** ჩრდილოეთ ირლანდიაში დარჩებიან, სანამ „ეს საჭირო იქნება", ნათქვამია მთავრობის „თეთრ წიგნში" თავდაცვის საკითხებზე.
- **ეგვიპტის ხელისუფლებმა** გადასცეს ლიბიის „ბოინგ-727" სამოქალაქო თვითმფრინავის ასი მგზავრის ნეშტი. როგორც ვიუწყებოდით ეს თვითმფრინავი სინას ნახევარკუნძულზე ჩამოაგდეს ისრაელის ჰაერის მეკობრეებმა. დაღუპულთა ცხედრები გადაიტანეს სუეცის არხის დასავლეთ ნაპირზე ქალაქ ელ-კანტარის რაიონში და იქიდან — კაიროში. ჯერჯერობით დაადგინეს მხოლოდ 47 დაღუპულის ვინაობა, რომელთა შორის 14 ქალი და 17 ბავშვია.
- **ტეხასის შტატში** ნავთობსადენის ერთ-ერთ უბანზე მოხდა აფეთქებები, რომლებმაც ხანძარი გამოიწვიეს. დაიხოცა ოთხი, დამწვრობა მიიღო და დაშავდა ბევრი ადამიანი.
- **კატასტროფა განიცადა** პანამის ავიაკომპანიის „ურაკის" „დს-3" თვითმფრინავმა, რომელიც დაფრინავდა ქალაქებს დავიდსა და ჩანგინოლას შორის. თვითმფრინავში მყოფი 24 მგზავრიდან დაიღუპა 19.
- **სეულის ჩრდილოეთით** 40 კილომეტრზე დაიმსხვრა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი, ეკიპაჟი დაიღუპა. ვერტმფრენის ნამსხვრევებმა იმსხვერპლეს ორი კორეელი ბავშვი.

რეაქციის გამოხდომა

სანტიაგო. 24 თებერვალი. (საკდესი). რადიკალური დემოკრატიის ულტრამემარჯვენე პარტიის წევრთა ჯგუფი, რომელიც ჩილეს ოპოზიციური ძალების წინასაარჩევნო ბლოკში შედის, თავს დაესხა ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრს როლანდო კალდერონს.

მათ ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ბოთლები ესროლეს ავტომობილს, რომლითაც მინისტრი მიდიოდა, აგრეთვე დაუშინეს ტყვია. საბედნიეროდ, მინისტრი გადარჩა. დაპატიმრებულია რადიკალური დემოკრატიის პარტიის 17 წევრი, რომლებიც თავდასხმაში მონაწილეობდნენ.

სერიოზული პრობლემები

ვაშინგტონი. 24 თებერვალი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა ქვეყნის მდგომარეობის შესახებ წერილის მესამე ნაწილი, რომელიც აშშ-ის ეკონომიურ მდგომარეობას ეძღვნება. როგორც ვიცით, წელს პრეზიდენტმა უარი თქვა ტრადიციულ საერთო წერილზე „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ" და კონგრესს გაუგზავნა ცალკეული წერილები სხვადასხვა საკითხზე.

ამ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტები თვალნათლივ მოწმობენ, რომ ამერიკის ეკონომიკა უწინდებურად აწყდება მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებს, რომლებიც საეჭვოს ხდიან მთავრობის მიერ გამოცხადებული მიზნის რეალობას — „საძირკველი შეუქმნან შეერთებულ შტატებში ახალი აყვავების ხანას".

უმნიშვნელოვანეს საშინაო-ეკონომიურ პრობლემად, როგორც წერილიდან ჩანს, უმუშევრობა რჩება. პრეზიდენტმა აღიარა, რომ უმუშევრობის დონე, რომელიც შრომისუნარიანი მოსახლეობის 5 პროცენტს შეადგენს, „ჯერ კიდევ ერთობ მაღალია". ყველაზე მეტ სიძნელეებს აწყდებიან ახალგაზრდები და ქალები, „რომლებიც ახლა უმაგალითო რაოდენობით ეძებენ სამუშაოს".

მეორე გადაუჭრელი პრობლემა ისევ ინფლაციაა. თუმცა, პრეზიდენტის სიტყვით, ინფლაციის ზრდა შარშან 1968 წელთან შედარებით შენელდა, უკანასკნელ თვეებში მოხდა „სურსათ-სანოვაგის საბითუმო ფასების მკვეთრი გადიდება". პრეზიდენტი კონგრესმენებს აფრთხილებს, რომ თებერვალში და ალბათ კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ამერიკელები უნდა მოელოდნენ „სურსათ-სანოვაგის საცალო ფასების გარდუვალ მკვეთრ მომატებას". მთავრობას, აღნიშნა მან, „სამწუხაროდ, არ შეუძლია მიმართოს ზომებს, რომლებიც გადამწყვეტ ზემოქმედებას მოახდენენ ფასებზე უახლოეს თვეებში".

ფაქტები

არსებობს ატაუალპას განძი?

ოთხას წელზე მეტი გავიდა იმ ტრაგიკული დღის შემდეგ, როდესაც ინკების იმპერატორმა ატაუალპამ, რომელიც მოტყუებით ჩაიგდეს ხელში ესპანელმა კონკისტადორებმა, თავისუფლების საფასურად ოქრო აღუთქვა მათ. მემატიანეთა მოწმობით ნაწილობრივ დადასტურებული ლეგენდა მეტყველებს, რომ ატაუალპას აღუმართავს ხელი და თავის საკანში ხაზი გაუვლია კედელზე: „მე უბრძანებ აავსონ ეს ოთახი ოქროთი აი ამ ხაზამდე, — უთქვამს მას, — თუ გამათავისუფლებენ". ესპანელები რასაკვირველია დათანხმდნენ. იმპერატორმა ბრძანება გასცა და იმპერიის ყოველი კუთხიდან კუსკოსაკენ გაემართნენ ოქროთი დატვირთული ქარავნები. რა მოხდა შემდეგ? ესპანელებმა მოკლეს ატაუალპა. მაგრამ მიიღეს დაპირებული ოქრო მთლიანად, თუ მხოლოდ ნაწილი? ლეგენდები — ისინი კი ცოტა როდია — ლაპარაკობენ, რომ განძეულის ძირითადი ნაწილი ვერ მოხვდა დამპყრობთა ხელში. მაშ სად არის იგი?

ოთხასი წლის მანძილზე ათასობით ექსპედიცია მოაწყეს იოლი გზით გამდიდრების მოყვარულებმა და ავანტიურისტებმა, მეცნიერებმა და ფსევდომეცნიერებმა. ყველა მათ ერთი მიზანი ჰქონდათ. მიეგნოთ განძისათვის. იქმნებოდა სპეციალური სააქციო საზოგადოებები, რომლებიც აფინანსებდნენ ძიებას. ასობით ბედის მაძიებელი სამუდამოდ დარჩა გაუვალ სელვაში და სიცოცხლე შესწირა მოტყუებული იმპერატორის საიდუმლოების ამოცნობას.

არც იმის თქმა შეიძლება, რომ ძიება უსისტემოდ წარმოებდა. მუშავდებოდა გეგმები, სწავლობდნენ მატიანეებს, იქმნებოდა ჰიპოთეზები განძის შესაძლო ადგილმდებარეობის შესახებ. არიან ადამიანები, რომლებიც იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ზუსტად იციან თუ სად არის დამალული განძი. ძველი დოკუმენტების შესწავლამ ისინი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ერთ-ერთმა ინდიელმა სახელად რუმინიაუიმ, რომელსაც ატაუალპას ბრძანებით ოქრო ესპანელებისათვის უნდა მიეტანა, შეიტყო თავისი იმპერატორის სიკვდილი. მაშინ, როდესაც კიტოდან კუსკოში მიმავალ გზას ადგა. მან გაავრცელა ხმა თითქოს მთაში წაიღო განძი, სინამდვილეში კი სიმდიდრე პატარა ქალაქ ერსაგის გამოქვაბულებში გადამალა. ახლა ამ ქალაქში ათას ხუთასი ადამიანი ცხოვრობს.

ეკვადორელი ფრეი მორენო შეეცადა ამ ქალაქში მცხოვრებ ინდიელთა ნდობა დაემსახურებინა იმ იმედით, რომ ისინი დაეხმარებოდნენ მას განძეულობის მოძებნაში. ყველაფერი კარგად მიდიოდა იმ დრომდე, ვიდრე მორენო ინდიელებს ჰპირდებოდა ესპანურად წერა-კითხვის სწავლებას. მაგრამ როცა ერთხელ საუბრისას მან ახსენა ატაუალპას სიმდიდრენი, ინდიელებმა ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს მასთან.

თუ ოთხასი წლის მანძილზე განძი არ იქნა მოძებნილი, მაშინ შესაძლოა საოცნებო მილიარდი დოლარი (განძი მიახლოებით ასეა შეფასებული) საერთოდ არ არსებობს? ხომ შეიძლება ასე იყოს. მაგრამ ოქროს ციებ-ცხელება გრძელდება. განძს მარტო ეკვადორში როდი ეძებენ. ინკების იმპერია უზარმაზარი იყო. ახლა მის ტერიტორიაზე განლაგებულია ეკვადორი, პერუ, ბოლივია და ჩილეს ნაწილი.

ორი წლის წინათ ფრანგები დებრუ და პუელი, ამერიკელი ჟურნალისტი ნიკოლზი გაემართნენ პერუს მთიან სელვაში ატაუალპას განძის საძებნელად და უკვალოდ გაქრნენ. მაჩინგენგასის მეომარი ტომის ინდიელებმა მოკლეს ისინი თუ მდინარე პინი-პინის აყოლის ცდის დროს დაიღუპნენ. არავინ იცის, მაძიებელმა ჯგუფმა მხოლოდ 17 თვის შემდეგ ნახა ექსპედიციის კუთვნილი რამდენიმე ნივთი და მათ შორის ნიკოლზის დღიური. სწორედ ამ დღიურით აპირებს სარგებლობას ახალგაზრდა ფრანგი ანთროპოლოგის დირაისონის ექსპედიცია, რომელიც ოცნებობს სელვაში მოძებნოს ოქროთი და ვერცხლით მოკაზმული შემორჩენილი კედლები, რომლის შესახებაც ასე ხშირად ყვებიან ინდიელები...

ოქროს ციებ-ცხელება გრძელდება. ატაუალპას განძი მოსვენებას არ აძლევს იოლი გზით გამდიდრების მსურველთ.

„ულტიმა ორა" (პერუ).

დოლია ნოღაეთში



ძმა ძმას ეჯიბრება

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 100 ათასზე მეტი სული ცხვარი იზამთრებს შორეულ ნოღაეთში — კასპიისპირეთის ზამთრის საძოვრებზე, რომელთა მოვლა-პატრონობას ასობით მეცხვარე, ვეტსპეციალისტი და სხვა დამხმარე პერსონალი ემსახურება. რაიონის მეცხვარეები კარგად მოემზადნენ ცხვრის გამოზამთრებისათვის. შეკეთდა ფარეხები და მწყემსთა საცხოვრებელი ბინები. აშენდა ახალი ფარეხები 8 ათასი სულის საერთო ტევადობის, აგრეთვე მეცხვარეთა საცხოვრებელი, კეთილმოწყობილი ბინები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, გაითვალისწინეს პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებული ნაკლოვანებები, რომელიც მხილებული იყო გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე, გააქტიურეს მუშაობა და ცხვრის დოლს მომზადებული შეხვდნენ. ბინებში დამატებით იქნა შეზიდული კომბინირებული და უხეში საკვები.

მეცხვარეთა საქმიანობაში უმნიშვნელოვანესია ცხვრის დადოლების ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარება. რაიონის ცხვრის ბინებში დროულად შეკეთდა ბაკები, მომზადდა საჩვილეები, საბატკნეები. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან დროულად გაიგზავნა დამატებითი მუშახელი დოლში დასახმარებლად.

თებერვლის ნახევრიდან დაიწყო დოლი ნოღაეთის ტრამალებში მყოფ საზოგადოებრივი მეურნეობების ცხვრის ფარებში. უძილო ღამეები დაგვიდგაო, იტყვიან ამ პერიოდზე მეცხვარეები. მართლაც დღედაღამ თვალი და ხელი არ მოსცილდება ხადოლე ცხვრის ფარებს, რომელთა სულადობა 50 ათასზე მეტია.

ბუდამყრის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა დუშეთის რაიონში მეცხვარეობის განვითარების მხრივ. ამ კოლმეურნეობის მეცხვარეთა შორის გამოირჩევა ახალგაზრდა კომუნისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სულიკო წიკლაური, რომლის ფარაშიც ათასამდე ნერბი ითვლება. სულიკომ და მისმა ბიჭებმა გასულ წელს ყოველ 100 ნერბზე 92 ბატკანი შეინარჩუნეს, ანუ გეგმაზე შვიდით მეტი. შარშანდელი ზღვარი როდიაო, თქვა სულიკომ და ვალდებულება იკისრა წელს 95 ბატკანი შეინარჩუნოს ყოველ ას ნერბზე. კომუნისტისათვის სიტყვა იგივე საქმეა. ამას ადასტურებს სულიკოს შრომითი შედეგები ბოლო 4-5 წლის მანძილზე.

სულიკოს გვერდით სამაგალითოდ შრომობს მისი ძმა, ლენინის ორდენოსანი მეცხვარე გოგი წიკლაური. არც ერთ წელიწადს ძმას არ ჩამორჩენია შრომაში. ძმები წიკლაურები ერთიმეორეს ეჯიბრებიან ცხვრის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. და ეს მათ მუშაობის უფრო მეტ სტიმულს აძლევს.

დოლი კარგად დაიწყეს მაღაროსკარის, მლეთის, ჭართლის, ფასანაურის, მაქართის კოლმეურნეობებმა, არაგვისპირა და ანანურის საბჭოთა მეურნეობებმა.

ყოველდღიურად ათობით და მეტ ბატკანს იღებენ სოციალისტური შრომის გმირის მლეთელ ყ. გაგაძის, შრომის წითელი დროშის ორდენოსან მაღაროსკარელ ს. ნარიმანაშვილის და სხვა მეცხვარეების ფარებში. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დადოლებულია 8 ათასზე მეტი ცხვარი და მიღებულია ამდენივე ბატკანი, რაც მთლიანად შენარჩუნებულია.

დოლია ნოღაეთში! დუშელი მეცხვარეები, რომლებიც ჩაბმული არიან მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მაღალ დონეზე ჩაატარონ დოლი, რომ ცხვარბატკანმრავალი ფარებით დაუბრუნდნენ მშობლიურ მთებს.

ვ. ქისტაური.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — გოგი წიკლაური, მარჯვნივ — სულიკო წიკლაური.

ავტორის ფოტო.

ადამიანები და გზები

ახლის მაძიებლები

ნარკვევი

ორივე ჩვენი ეპოქის შვილია. ლილი სვანიძე და გურამ ურუშაძე ერთად მუშაობენ, ერთ საწარმოში, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში.

ორივენი ერთ გზაზე მიაბიჯებენ. რამდენი წვალება, ტანჯვა, ტკივილი ახსოვთ უფროსი თაობის ადამიანებს, სანამ ამ გზას მოძებნიდნენ, სანამ ამ გზაზე გამოვიდოდა გურამის თანატოლი თაობა.

და აი ჩემს წინაშეა ქალი, რომელმაც ნახა ძველი და ახალი საქართველო. იყო მოწმე საქართველოს უმშვენიერესი კუთხის — აჭარის საუკუნოვანი ტრაგედიის ნაშთებისა. იყო მოწმე ახალი საქართველოს დაბადებისა, მოწმეა დღევანდელი საქართველოს ბედნიერებისა. საიდან დავიწყოთ? — იქნებ იქიდან, ალმართებს რომ აუყვებოდა ჩითისკაბიანი გოგონა დედასთან ერთად, სოფელ-სოფელ ჩამოუვლიდნენ ოჯახებს: ძმებო, დებო, დედებო, ჩამოიყვანეთ თქვენი შვილები ბათუმს, თქვენც ქართველები ხართ და ჩვენც, სხვადასხვა ღმერთისადმი ფიცი როდი თიშავს ღვიძლ და-ძმას...

მაშინ გოგონა თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა შავპირბადე აფარებულ ქალებს და მერე დიდხანს არ ასვენებდა დედას კითხვებით: მზის დანახვა არ უნდათ, ჰა, დედა?

იქნებ იქიდან დავიწყოთ, ბათუმში აჭარელ ქალთა პირველი კრება რომ გაიმართა, როცა როზამ, ხოზრევანიძის მეუღლემ, პირველმა მოიძრო ჩადრი. იქნებ იქიდან, ლილის დედის ოჯახი რომ იყო ის კერა, სადაც ზრუნავდნენ ერთგულნი ტკივილის მოშუშებაზე, სადაც იღვწოდნენ ქართული ენისათვის, ბათუმში ქართული სკოლის დაარსებისათვის... იქნებ იქიდან, თბილისს რომ მიემგზავრებოდა ცისფერთვალა ქალიშვილი უმაღლესი განათლების მისაღებად. — შვილო, გაგვიჭირდება, ოჯახი ფულს ვერ მოგაშველებს... შენი თავის ანაბარა უნდა იყო, თუ კარგად ისწავლი, სტიპენდია გექნება, გეყოფა? — ეუბნებოდა შეწუხებული დედა.

გზის ფული მეზობელმა მისცა. 1934 წელი. ინჟინრის დიპლომით დაბრუნდა. ყველას უკვირდა, — რა უნდა ქალს ქარხანაში.

პირველად სამქროში რომ შევიდა, მართლაც შეკრთა. ხმასხმელი ხიმქრო, დიდხანს შესცქეროდა გავარვარებულ თუჯის ციცხვებს, ცეცხლის ნაკადით რომ ივსებოდა. ჰქონდა შიშიც და გამბედაობაც. შეუძლებელია დავიწყებოდა მღელვარებით და უჩვეულო დაძაბულობით ალსავსე სიყმაწვილე.

— დირექტორმა დამიბარა, მითხრა: „ლილი, საგლინავი ლილვი უნდა ჩამოვასხათ, სიმაღლე 6 მეტრი იქნება, დიამეტრი — 350 მილიმეტრი.

— დავთანხმდი. შემდეგ რომ აწონ-დაწონე, მივხვდი საშიში იყო, შეიძლება ხალხი დაგვეწვოდა, მაგრამ რაკი ვთქვი, უკან აღარ დავიხიე, ძველი გამოცდილი ოსტატი გვყავდა — თევდორე კონწურაშვილი. — ნუ გეშინია, აქ არა უჭირ? — გამამხნევა მან. გავაკეთეთ ყალიბი, მუშები გარეთ გავიყვანეთ, მე და თევდორე 3 ტონა გამდნარ თუჯს ვასხამთ, რომლის ტემპერატურა 1.300 გრადუსამდე აღწევს. ჩამოსხმა 20 წუთს გაგრძელდა. მაშინ ბევრი მომქანცველი ოპერაცია ხელით სრულდებოდა. ავტომატიზაციაზე მხოლოდ ვოცნებობდით.

ხშირად ნაშუაღამევს მივსულვარ სახლში. პირველ ცვლაში ყალიბებს ვაკეთებდით, მეორეში ვასხამდით, მესამეში — ვამოწმებდით. მაინც არ ვიცოდით რა იყო დაღლა. რა დიდი ენერგია გვქონდა. ყოველ შაბათს ქარხნის ახალგაზრდობა ვიკრიბებოდით, სიმღერებს ვმართავდით.

1941-45 წლები... ეს იყო გმირული შემართების დაუვიწყარი საათები, შრომითი სასწაულები.

ბევრჯერ მომიწია ღამით მორიგეობამ.

პარტიის მორიგი დავალება: დავეხმაროთ ფრონტს! ცეცხლის ხაზზე იგზავნება ამანათები... აჭარელი ქალის ხელით მოქსოვილი წინდები, ხელთათმანები, მანდარინა, ფორთოხალი, ჩურჩხელები...

მადლობას მადლობაზე უცხადებენ პარტიის საქალაქო კომიტეტში.

რამდენი საქმის მოთავე იყო ლილი სვანიძე, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. 1958 წელი. ლილი მექანიკური სამქროს უფროსია, ფიქრმა, ზრუნვამ ნაადრევად ჭაღარა გაურია თმაში. — მან სახელი გაითქვა, როგორც კარგმა ხელმძღვანელმა, კარგმა ინჟინერმა და კარგმა პარტიულმა მუშაკმა.

უმწიკვლო ადამიანს დიდად ენდობიან კოლეგები, ამხანაგები. ამიტომაც აირჩიეს იგი სამქროს პარტბიუროს წევრად. საქალაქო კომიტეტმა კი მას მიანდო მუშა ქალთა ოჯახური პირობების შესწავლა-გამოკვლევა. ლილი სვანიძე მათთან არის ჭირშიც და ლხინშიც: ერთს გაუწყრება, მეორეს დაუყვავებს, იმედიან სიტყვას შეაშველებს.

... ოჯახი ინგრეოდა, ცოლ-ქმარი ერთმანეთს სცილდებოდა. ლილი ხშირად დადიოდა მათთან. არავინ იცოდა, რას ელაპარაკებოდა მათ, ერთი კი ცხადია: ოჯახი მთელი რჩებოდა და კერა არ ცივდებოდა.

რამდენ ახალგაზრდას უგრძვნია მისი დედობრივი ზრუნვა და გულის სიღრმეში უთვალავი მადლობაც შეუთვლია ჭაღარათმიანი ქალისათვის.

კეთილ და სანდომიან სახეს ფიქრი არ სცილდება, მუდამ დაუზარელი, საქმიანი, უანგარო, უთენია მოდის სამსახურში. ღამის მორიგე ოსტატის ნამუშევარს დახედავს, შემდეგ მიმღებ პუნქტს შეამოწმებს, დილის ცვლის ოსტატს დავალებას გააცნობს. რამდენი რამეა გასათვალისწინებელი, ადვილი როდია ერთბაშად გაერკვე ამ ტექნოლოგიურ ლაბირინთებში.

მერე საღამოს ცვლის გეგმაზე იწყებს ფიქრს, იშვიათად ხდება, რომ ღამის ბინდისათვის მიესწროს სახლში. 60 წლისაა, მაგრამ თვალებს ისევ ახალგაზრდული სიხალისე შემორჩენია, გულს — მოუღლელობა. წლებმა გამოცდილება შემატეს, დაღლით კი ვერ დაღალეს... რა ვუყოთ, თუ თმა გაუთეთრდა, მთავარი მაინც გულია, უბერებელი სიყვარულით ანთებული!

ასეთმა ხალხმა შექმნა საბჭოთა საქართველოს ძლიერება. ისინი გარიჟრაჟზე მოვიდნენ, გოგონებად, ჭაბუკებად მოვიდნენ და მოიტანეს დიდი მგზნებარე სული, რწმენითა და სიკეთით სავსე, და ახლა გაჭაღარავებულნი დგანან ისევ ქარხნის ზღურბლზე, მოქალაქეობრივი სუფთა სინდისით მაღლა უჭირავთ ქვეყნის ძლიერების დროშა.

დღეს ქარხანაში ბევრი წამყვანი ინჟინერი, ტექნიკოსი და ოსტატია მის მიერ გამოზრდილი — ეთერ და ნანულ დოლიძეები, ნანა დარჩია, მანანა ქათამაძე, ნოდარ ინწკირველი, ვლადიმერ დოლიძე, შოთა გალოგრე, შალვა ხუხუნაიშვილი, ლერი გეგია, ჯემბულ ტულუში...

მათზე იმდენია სათქმელი, რომ წიგნებად აიკინძება... ჩვენი თაობის ბიოგრაფია კი ამ წიგნების გაგრძელებაა, დღევანდელობით რომ იწყება...

ქარხანაში რომ მოვიდა, თანამედროვე ცხოვრების მდინარებაში მოექცა გურამ ურუშაძე.

— ბევრი შემძინეს უფროსმა მეგობრებმა, დიდად კმაყოფილი ვარ, ჩემი გზა ასე რომ დაიწყო. ვფიქრობ, ყველა სკოლადამთავრებულმა ერთი-ორი წლით მაინც უნდა იმუშაოს საწარმოში. აქედან წასულს არ გაუჭირდება, უკეთ ეცოდინება დროის ყადრი.

მეათე წელია გურამი ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაშია. მუშად მოვიდა.

— ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული ყველა ჩარხი შემესწავლა. მუშაობის ყველა პროცესი მიზიდავდა. მარტო ჩემი სამუშაო კი არა, არამედ სხვისაც — ხარატის, მღარავის, მგლინავის... ხშირად ვეკითხებოდი გამოცდილ ზეინკლებს, მინდოდა რაც შეიძლება მეტი სასარგებლო რამ ამეღო მათგან.

ადრე კოორდინატულ დანადგარებზე, უზუსტეს ხელსაწყოებზე მუშაობდა გურამი, ახლა ექსპერიმენტული სამქროს ოსტატია. ეს არის საამქრო, სადაც ახალი მანქანა იბადება, თუ იმედი გაამართლა, სერიულ გამოშვებას დაიწყებენ.

აქ მთავარი ფიგურა ოსტატია. მანქანების, დანადგარების აწყობა დიდი და რთული საქმეა. ადვილი როდია იცოდე ყველა დეტალის დანიშნულება, მაშინ როცა მათი რიცხვი ათასს აღემატება, უნდა ითვისო მანქანების ტექნოლოგია, უზრუნველყო გეგმაზომიერი მუშაობა, გაერკვე უამრავ ნახაზებში, თვითონაც შეიტანო სასარგებლო ცვლილებები...

სიახლის შემქმნელი ოსტატი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის IV კურსის სტუდენტია, ქარხნის ტურისტულ სექციას ხელმძღვანელობს, საწარმოში კინომოყვარულთა წრეც ჩამოაყალიბა, იღებენ ფილმებს ქარხნის ცხოვრებაზე, სპორტულ შეჯიბრებებზე, ლაშქრობებზე.

ახალგაზრდობამ მუშაობის გარდა კარგი დასვენებაც იცის. თებერდის, არხიზის მიდამოები. ლაზურის გადასასვლელი — მთელი ჩრდილოეთ კავკასია ფეხით შემოიარეს...

დაუზარელი, საქმიანი, ვაჟკაცურად გამძლე და ვაჟკაცურად გამტანი — ასეთია გურამ ურუშაძე, ასეთად იცნობს მას კომკავშირი, რომლის სახელოვან ისტორიაში გურამსაც ჩაუწერია რამდენიმე სტრიქონი.

თითქოს ლილი სვანიძეზე და გურამ ურუშაძეზე წიგნი წავიკითხე, ღრმად შინაარსიანი და საინტერესო. ვფურცლავდი სათუთად და ჩემში გადმოდიოდა ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი ძლიერება, რამდენი რამ უჩუქებია უფროს თაობას უმცროსებისათვის!

ამიტომ არის, რომ გურამის თანატოლები სწავლობენ მათგან. სწავლობენ ყველაფერს და ცდილობენ ძველი თაობის ნაჭედი თუჯისა და ფოლადის სიმტკიცეს არც მათი ხელით ნაჭედი ჩამორჩებოდეს.

ნაზი შამანაური.

ვინც თავი ისახელა

თბილისის ხართავ-სატრიკოტაჟო კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი აღმავლობით დაიწყო. იანვრის გეგმა პროდუქციის მაჩვენებლების მიხედვით შესრულდა და თებერვალში ზეგეგმით პროდუქციას უშვებს.

აქ სასახელოდ შრომობენ მოსამზადებელი სამქროს მოწინავე მუშები, რომლებსაც ამ სურათზე ხედავთ: მარცხნიდან — ნ. კოკაშვილი, რ. კულუმბეგოვა, ბ. არჟანოვი, მ. ბუჯიაშვილი, ც. ჩხეიძე, მ. კავთიაშვილი და ა. ხაჩატურიანი. ისინი ყოველთვიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ და უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ბ. გოგოხიას ფოტო.

იყალთო

ასე შენდება და მშვენდება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღესასწაულს რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად განსაკუთრებული სიამაყით ეგებება მრავალ ჭირ-ვარამ გადახდილი ძველთაძველი ქართული სოფელი — იყალთო.

ამის მიზეზი იყალთოელებს მართლაც რომ აქვთ.

თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, იყალთოს ალბათ საამაყო მარტო ზენონ იყალთოელის მიერ აშენებული „სამება", ორსართულიანი მარანი და ძველი აკადემიის ნანგრევებიღა ექნებოდა.

ადრე ამ სოფელში ხშირად ჭირი და ხოლერა მძვინვარებდა, ენით აუწერელ ტანჯვას განიცდიდა აქაური გამრჯე მხვნელ-მთესველი...

როგორც იტყვიან, მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა.

...დღეს ასეულ ჰექტარზეა გადაჭიმული იყალთოს კოლმეურნეობის ზვრები და ველ-მინდვრები.

გუშინდელი მეხრეები და გუთნისდედები დღეს აქ მძლავრ ტექნიკას მართავენ, ხალხს ემსახურება მრავალი სპეციალისტი. ელექტრობა, გაზი, რადიო, ტელევიზორი და ახალი ცხოვრების სხვა დამახასიათებელი საჭიროებანი მტკიცედ დამკვიდრდა იყალთოელთა ყოფაში.

დღეს ამ სოფელს ამშვენებს კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, აფთიაქი, სკოლა, ფოსტა-ტელეგრაფი, ორსართულიანი სახლები; ძველ აკადემიამდე გაკეთდა და ლამპიონებით დამშვენებული მოასფალტებული გზა, ჩატარდა აკადემიის რესტავრაცია და მის ტერიტორიაზე — არქეოლოგიური გათხრები; სასოფლო საბჭოს ახალი შენობა, ღვინის ქარხანა, ბაგა-ბაღი, უნივერმაღი, სასადილო, საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობა; ერთიორად გაიზარდა საჰექტარო მოსავალი, კოლმეურნეობის შემოსავალი.

დიახ შენდება და მშვენდება იყალთო.

მშრომელთა ფართო მასების კულტურისა და ცოდნის ამაღლების თავისებური, საბჭოური დაწესებულება გახდა აკადემიის ნაფუძარზე ჩამოყალიბებული სახალხო უნივერსიტეტი. დღეს თქვენ აქ შეხვდებით ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ მოღვაწეებს. საკავშირო დათვალიერებაზე იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტმა ორჯერ მოიპოვა პირველი ადგილი და მიეკუთვნა „საუკეთესო სახალხო უნივერსიტეტის" სახელი.

...მეგობრობამ აგვაშენა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობამ და სიყვარულმა მოგვცა ეს ბედნიერი დღე.

თვალს ვავლებთ იყალთოს წარსულ ფურცლებს და კანონიერად ვამაყობთ მისი აწმყოთი, ნათელი მომავლით.

გ. შათირიშვილი,
თელავის რაიონის სოფელ იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

ხუტა ბერულავა

გაზაფხული მოდის



ხუტა ბერულავას პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1944 წელს გამოვიდა. მის კალამს ეკუთვნის პოემები: „რუსული გული", „სიმღერა ვარსკვლავებზე", „მწვანე ხომალდი", „წინაპრები" და სხვა.

გაზაფხული მოდის
ჩვენს მამულში, რადგან
თებერვალი დადგა,
ხეში წყალი ჩადგა...

მზე ანთია ცაზე,
მიწის მკერდი თბება,
გაიღვიძეს მზისქვეშ
მინდვრებმა და მთებმა.

ენძელა ხომ გაჩნდა,
როგორც ღიღილოლი,
სადაც არის, აიმ
გაახილოს თვალი.

გაზაფხული გვიხმობს:
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
გუშინდელი ტემპი
უკვე აღარ კმარა.

გარდატეხის წელი,
ამაღლების წელი,
ჩვენგან მხოლოდ გარჯას,
გმირულ გარჯას ელის!

სიტყვას მივცეთ ფასი
და ბარაქა — შრომას,
თორემ ანაზდეულ
მოვა შემოდგომა.

ვით მსაჯული მკაცრი,
გაგვისინჯავს მაჯას,
ვერ გვიშველის მის წინ
ვედრება და აჯა...

გაზაფხული გვიხმობს:
— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!
დღევანდელი ტემპიც
უკვე აღარ კმარა.

მეთაურებს, გმირებს
გავუსწოროთ მხარი,
გადავხატოთ მწვანედ
ჩვენი მთა და ბარი.

გავიყოლოთ ისიც,
ვინც გმირებში არ ჩანს,
და ჩეროსთან მდგარი
ფეხს ითრევდა შარშან.

მეზობლებთან დადგეს,
ოფლიც ღვაროს ბლომად,
დაიქანცოს, იგრძნოს:
რა ტკბილია შრომა!

და წინაშე ქვეყნის
რაც კი დარჩა ვალი,
გადიხადოს ერთად,
თუ არ არის მხდალი...

გაზაფხული მოდის,
სიხარული მოაქვს.
რა ლამაზი მზეა!
რა ნანატრი დროა!

თუ გვსურს, საქართველომ
ისახელოს თავი,
დავუღლოცოთ ერთურთს
გულიცა და მკლავიც.

თუ გვსურს, საქართველომ
იდღეგრძელოს მარად,
ხელისგულზე კოჟრებს
არ შევუკრთეთ, არა!

თუ გვსურს, საქართველომ
ქვლავ გაშალოს ფრთები,
საქმით, მხოლოდ საქმით,
განვაცვიფროთ მტრები.

და შრომის ჰიმნი
აზრიალდეს ალად,
როგორც ჩანგთა ჩვენთა
შეჯიბრების ძალა!

დაე ყველა ჩანგი
წკრიალებდეს, ჟღერდეს,
ალავსებდეს ცეცხლით
მაშვრალ კაცთა მკერდებს.

მათ ეკუთვნის ჩვენი
საალერსო სიტყვა,
და სიმღერა ითქვას,
და სათქმელიც ითქვას...

გაზაფხული მოდის
თუ ვარდების თოვა.
გაზაფხული მოდის,
მწიფობისთვეც მოვა.

ქართველი მწერლები — ხუთწლედის მხარდამხარ!

აკაკი გეწაძე

მშობლიურ მიწას...

აკაკი გეწაძის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს, ლექსების პირველი წიგნი კი გამოვიდა 1953 წელს. შემდეგ მწერალმა დაბეჭდა სხვადასხვა ჟანრის რამდენიმე წიგნი, მათ შორის „წმინდანები ჯოჯოხეთში", რამდენჯერმე პრემირებული.

ფრიალებს დროშა დიადი რწმენის,
რევოლუციურ მიზნების წყარო:
დღეს ჩვენი რწმენის უკვდავი გემი
მიაპობს ტალღებს და... შეცაც ხარობს.

მე ახლა მიწის მხნე სუნთქვა მესმის,
ვუსმენ მთა-ბარის ახლებურ ფიქრებს.
იღვიძებს კვირტი, იღვიძებს თესლი
და გაზაფხული ძალ-ღონეს იკრებს.

მე ვადღეგრძელებ უჩინარ გმირებს,
ბრძმედებთან მდგარ ვაჟკაცთა ხელებს,
მზის საგალობელ უძველეს „ლილეს",
ზვრებიან კახეთს, კოლხეთის ველებს.

დღეს მიწის სულ სხვა სიმღერა მესმის,
დღეს ყველა ერთი სულისთქმით ღელავს.
ხალხს მხარში უდგას პოეტის ლექსიც:
— ყველა ერთისთვის, ერთისთვის ყველა!

ვაქებ ვაჟკაცთა ჭეშმარიტ საქმეს,
ვინც შრომის ფრონტზე მამაცად იბრძვის,
ვისაც გზა გაჰყავს და კლდეებს ანგრევს,
ვისაც ტკივილი აწუხებს მიწის.

ვინც მდინარესთან არ უფრთხის ბრძოლას,
პატიოსნებას დარაჯობს ფხიზლად,
ვინც შრომა-გარჯით ქმნის ქვეყნის
დოვლათს
და ერთი ლუკმაც არ უნდა სხვისა.

ვინც აგურს ელვის სისწრაფით აწყობს,
ვინც მუზარადით გვირაბში შედის,
ვინც უვლის წარსულს, ვინც უვლის აწმყოს,
ვისაც აწუხებს მომავლის ბედი.

ვისაც მოყვასის სტკივა იარა,
ვინც თრგუნავს ბოროტს მგზნებარე
რისხვით,
ვინც საქართველოს ღვინით კი არა,
ჩვენ გვიდღეგრძელებს თავისი სისხლით.

ვინც მწყემსის ნაბდით ასულა მთაში
და ჩვენი მიწა შვილივით უყვარს,

ჩემს საქართველოს ვინც უზრდის ცხრა
შვილს,
ვინც ანთებს ისევ დაშრეტილ ბუხარს.

ვინც მტყუან-მართალს სამართლით არჩევს,
ვისაც ხალხისთვის შესტკივა გული.
ვინც მარჯვედ უზის ტრაქტორის საჭეს,
ვინც უვლის ვაზებს, ვინც ბაღებს უვლის.

დღეს ჩვენი მზე და კაცობა გვიცავს,
გვიყვარს ლაჟვარდის გასხივოსნება,
ვეთაყვანებით მშობლიურ მიწას,
სიმართლესა და პატიოსნებას.

ვინც ცხოვრებაში მრუდე გზით მიდის,
ვისაც კაცუნის სული აქვს ხურდა,
ვინც ჰყიდის მიწას, ვინც სინდისს ჰყიდის,
ჩვენს სამშობლოსაც გაჰყიდის მუქთად.

ვადიდოთ, ვინც დღეს ქვეყნისთვის იღვწის.
ვადიდოთ ჩვენი მშობელი მიწა.
სულ სხვაა სული მშობელი მიწის,
ეს მიწა გვალხენს, გვაცოცხლებს, გვიცავს.

დღეს ჩემი მიწის მძლე სუნთქვა მესმის,
ვუსმენ მთა-ბარის ახლებურ ფიქრებს.
იღვიძებს კვირტი, იღვიძებს თესლი
და გაზაფხული ძალ-ღონეს იკრებს.

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები



ქართული არქიტექტურის მშვენება

რუსთაველის პროსპექტს რომ გავცდებით, ლენინის ქუჩის დასაწყისიდან ლურჯი ცის ფონზე ალიქვება კინო-საკონცერტო დარბაზის შესანიშნავი შენობა. იგი ამჟამად აღმართულია მელიქიშვილის და ლენინის ქუჩების განშტოებაზე და თავის ჰაეროვანი მოცულობით მზის სინათლეზე ბრწყინვალედ ჩაწერილია თბილისის პეიზაჟში, ღამით ამ ფასადის მინის დეკორს იქით აციხკროვნებული ნათურები საზეიმო განწყობილებას ქმნიან შორიდანვე.

შენობას მარჯვნივ პარკი ეკვრის და ლენინის ქუჩის ეს ვიწრო მონაკვეთი, როცა ფეხით სასიარულო ხეივნად გადაიქცევა შენობა უშუალო კონტაქტში მოექცევა ქალაქის ამ მწვანე მასივთან.

კინო-საკონცერტო დარბაზის შენობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმნილებაა უკანასკნელ პერიოდში ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზაზე.

ამიერიდან ქართულ მუსიკალურ საზოგადოებას მიეცა საკუთარი სახლი, რომელიც ბრწყინვალედ მოემსახურება მას როგორც ფუნქციონალურად, ისე ემოციურ განწყობაში.

შენობის დარბაზი 2500 მაყურებელს იტევს, გეგმით სიგანეშია გაშლილი ერთიანი ამფითეატრით და ზედა იარუსით არის გადაწყვეტილი. ხით მოპირკეთებული კედლები, კომფორტული სავარძლები და განათების ეფექტური მოწყობილობა მიმართული სცენის გრანდიოზული ფრონტისაკენ, საზეიმო განწყობილებას უქმნის მაყურებელს. რთული და უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა სცენისა, შესაძლებლობას იძლევა მუსიკალური ჟანრების ნებისმიერი ღონისძიების ჩასატარებლად.

დარბაზს გარს შემორტყმული ფოიეს მინის კედლიდან იშლება ქალაქზე განსაცვიფრებელი პანორამა. ფოიე თითქოს აერთიანებს შიდა სივრცეს ქალაქის პეიზაჟთან.

შენობის ფარგლებში სცენის ქვეშ მოწყობილია მცირე დარბაზი შესასვლელით ლენინის ქუჩიდან. ამ ქუჩაზე გამოდის აგრეთვე ცოკოლის სართულში განლაგებული თეატრალური სალაროები და მხატვართა სალონი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ შენობის ექსტერიერს ამშვენებს შესანიშნავი სკულპტურა „მუზა" (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), რომლისათვისაც ხუროთმოძღვარმა მოამზადა შესაფერისი ადგილი მთავარი კიბეების მარჯვნივ ტერასაზე.

კინო-საკონცერტო დარბაზის შენობა — ეს შესანიშნავი არქიტექტურული ნაწარმოები შექმნა ცნობილმა ქართველმა არქიტექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ ივანე ჩხენკელმა. იგი ავტორია სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების, მათ შორის თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმისა.

კინო-საკონცერტო დარბაზის შენობა დამაჯერებლად დამკვიდრდა თბილისის მიწაზე, ჩაიწერა ქალაქის პეიზაჟში და საყვარელი გახდა თბილისელებისათვის.

სწორედ ამიტომ ღირსეულად შეფასდა არქიტექტორ ივანე ჩხენკელის ნაწარმოები და მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

სოსო ზაალიშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი.

მიხეილ ლორთქიფანიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის შესწავლისა და არქიტექტურული გრაფიკის კათედრის გამგე.

შემოქმედებითი შეხვედრა

კინემატოგრაფისტები დიმიტროველებთან

23 თებერვალს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა შემოქმედებითი შეხვედრა მოუწყო ქართველ კინემატოგრაფისტებს. ჩვენი რესპუბლიკის ამ სახელოვან საწარმოს ესტუმრნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე ს. დოლიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი ა. ძიძიგური, რეჟისორები შ. მანაგაძე, რ. ჩხეიძე, ლ. ღოღობერიძე, ლ. გორდელაძე, კინოკრიტიკოსი კ. გოგოძე, ოპერატორი ა. მაისურაძე, და სხვები.

მეგობრობის საღამო გახსნა საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანმა ე. აფციაურმა, რომელიც საწარმოს კოლექტივის სახელით გულთბილად მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა რეჟისორმა ს. დოლიძემ მადლიერებით მოიხსენია საავიაციო ქარხნის მოწინავე ადამიანები, რომლებიც თავდადებული შრომით ქმნიან საჭირო პროდუქციას, იღვწიან ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საპატიო მაჩვენებლებისათვის.

— ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, — განაცხადა ს. დოლიძემ, — რომ ქართველ კინემატოგრაფისტთა მეგობრობა ამ შესანიშნავი საწარმოს კოლექტივთან იქნება მნიშვნელოვანი ეტაპი მშრომელი ადამიანის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში და ხელს შეუწყობს მისი მორალური და ესთეტიკური შეხედულებების ფორმირებას.

რეჟისორმა ლ. ღოღობერიძემ ქარხნის კლუბში შეკრებილთ მიმართა: — „თქვენ ქმნით ძვირფას პროდუქციას, ჩვენ ვქმნით კინონაწარმოებებს — უაღრესად რთული მისია გვაკისრია. ჩვენც და თქვენც ხალხს და ქვეყანას ვემსახურებით.

შემდეგ დამსწრეთ თავის ახალ ფილმზე — „ნერგები" ესაუბრა რესპუბლიკის სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე.

დიმიტროვის სახელობის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. პივოვაროვმა ილაპარაკა იმ ხელშეკრულების მნიშვნელობაზე, რომელიც შეიმუშავეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა" და საავიაციო ქარხნის კოლექტივებმა.

შემდეგ დამსწრეთ გააცნეს ხელშეკრულება, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ხუთწლედის მესამე წლის გადამწყვეტ ეტაპზე ამ კოლექტივებმა იკისრეს ყოველმხრივ გააკეთონ აღებული სოციალისტური ვალდებულებების გასანაღდებლად. კერძოდ კინოსტუდია „ქართული ფილმი" სისტემატურად მოაწყობს საწარმოში ახალი ფილმების განხილვასა და ჩვენებას, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი მუშაკებისა და საწარმოს მოწინავე ადამიანების ურთიერთდაახლოებას.

ხელშეკრულებას ხელს აწერენ: საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ს. დოლიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი ა. ძიძიგური, პარტორგანიზაციის მდივანი თ. ჯაჯანიძე, ხოლო საწარმოს მხრივ საავიაციო ქარხნის დირექტორი ი. ხვედელიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ე. აფციაური, პროფკომიტეტის თავმჯდომარე ნ. რედოხინი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. წულაძე.

შემდეგ მასპინძლებმა სამახსოვრო საჩუქრები და ყვავილები გადასცეს ძვირფას სტუმრებს და მიიწვიეს ისინი საწარმოს გასაცნობად. დასასრულ ნაჩვენები იქნა ახალი ქართული ფილმი „ნერგები", (რეჟისორი რ. ჩხეიძე, ოპერატორი მაისურაძე).

შეხვედრამ გულთბილობისა და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ჯაფარიძე.

ИСТОРИЯ СОВЕТСКОЙ ПЕДАГОГИКИ

მიძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წელს

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ოთარ დანიელის-ძე ჭანქლაძის წიგნი „საბჭოთა პედაგოგიკის ისტორია" ეძღვნება სსრ კავშირის დიად იუბილეს. წიგნში მოცემულია საბჭოთა პედაგოგიკის ისტორიის შემდეგი პერიოდიზაცია: 1. ბრძოლა პედაგოგიური პრობლემების მარქსისტულ-ლენინური დამუშავებისათვის (1917-1929); 2. საბჭოთა პედაგოგიკის როგორც მეცნიერების გაფორმება და მისი შემდგომი განვითარება (1930-1958); 3. საბჭოთა პედაგოგიკა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში (1959 წ. და შემდეგ).

წიგნი გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ".

შანდორ პეტეფის საღამო

ორშაბათს, 26 თებერვალს, საღამოს 8 საათზე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება დიდი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უნგრელი მწერლები და მეცნიერები.

უმღერიან საქართველოს

□

როცა მენვია მზე თებერვალის

როცა პირველად
გონების თვალი
იმ ერთი ბეწო ბიჭს ამეხილა,
მაშინ მეწვია მზე თებერვალის
და ოქროს ფრთებით
გადამეხვია!

მისი ამალის
წითელ მამაცებს
მოჰყვა ნატრული პური,
მშვიდობა
და შევხაროდი მათ მუზარადებს,
რაშებს დაკაზმულთ
ხარაინდოთა!

რამდენი იყო
მათში ქართველი
ჩემთვის, ნატყვიარ ქუდით,
მაზარით,
რუსი — რუსულად
ხელგამართული
თავდადებული,
ალალმართალი!

როგორც თანატოლს, —
მეც გამიღიმეს
შემოსილებმა მუშურ-
გლეხურად
და რაც მე მათზე მაშინ ვიხილე, —
მთელი სიცოცხლე
მეცვა, მეხურა!

პირველად მესმა
მათს სიმღერაში —
„დიდება ქოხებს, ჩაგრულთ
სალამი!"
და ლხენის ცრემლით პირველად
მაშინ
დამშვენდა თვალი
დედის და მამის!

დღეს იმ თებერვალს
ის ბავშვი კვლავაც
ვეტრფი, ვევლები თავს
მოწიწებით,
ხოლო ჩემს აბჯარს ჰკოცნიან
კრძალვით
შვილიშვილები
ლოყაწითლები.

ივანე შაიშმელაშვილი.

□

მშობლიურ ჰანგებზე

ჩემი სამშობლოს დიდების
ზეცა ნათელი, მაღალი,
ჰანგები ფრთაგაშლილები,
ფიქრი უზადო, ალალი.
დედის გულივით მხურვალე —
დედა-თბილისის ლაღი მზე...
დღე სამხრეთული, მცხუნვარე
და რუსთაველის გამზირზე —
ჭადრებში ამაღლებული
ჩემი ოთახის სარკმელი...
ხულში სიმტკიცე მთიბური,
ბევრი სიმღერა სათქმელი...
...გასხივოსნება ხვიანის —
სულმნათის, დიდი მესხისა...
ვინც მოუტანა სიამით
მოყვარეს სიბრძნე, მტერს—რისხვა...
იმისი სიტყვა მზიანი,
ვით ხალხთა ძმობის ამბორი...
იმისი სუნთქვა — ნიავი,
გადმოქროლილი მთა-გორით...
მხნეობა, მზის სიყვარული,
დიდი სიმღერა გრძნეული...
ჩემი უკვდავი მამული,
არსად, აროდეს ძლეული, —
უფრო იზრდება, მაღლდება —
ეს შვილთა გამრჯე ხელია,
ხალხის სიკეთის გამღებად,
სიტკბო ნურც გამოლევია...
მიწა უხვი და ვრცელია,
ბარაქას უმშვენებია,
„რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია!".

ელენე დიდიმამიშვილი.

□

ეს ცა, ეს მიწა

ქალაქადა თუ სოფლად
შრომის ნიაღვარ-ოფლად
ჩვენ ვიფრქვეოდით მუდამ,
რომ არ გვეარა მრუდად.
ეს ცა,
ეს მიწა
მე მწამს,
მე მიცავს.
ჩემთან იქნება მუდამ,
ჩემ ქალამნად და ქუდად,
ჩემთან იქნება მუდამ
სხივგაშლილ იაგუნდად
ჩემი დარდი და ლხენა
ჩემი ქართული ენა, —
მუდამ ვიქნებით ერთად,
ჩვენ ერთად ვცოცხლობთ
ქვეყნად.
მე მწამს,
მე მიცავს
ეს ცა,
ეს მიწა.

ვასილ ლაფერაშვილი.

ზღვებსა და ოკეანეებში

„ბათუმი" სრული სვლით

ქართველი მეზღვაურები — ხუთწლედს

ყოველთვის, როდესაც გადიხარ შორეულ რეისში და იცი, რომ დიდხანს ვერ დაუბრუნდები მშობლიურ ნაპირებს, უჩვეულო სევდა გიპყრობს. შორეული ნაოსნობის მეზღვაურივით, იშვიათად თუ ვინმე განიცდის, ალბათ, ამ გრძნობას ასე მძაფრად. მაგრამ განა შეიძლება შეედაროს ამ სევდის სიმძიმე იმ ფრთებასხმულ სიხარულს, რომლითაც ბრუნდები უკან, სამშობლოს წინაშე პირნათლად ვალმოხდილი. ეს ყველაზე დიდი სიხარულია ზღვაში გასული კაცისათვის...

ახლა ჩვენი გემი კვლავ მორიგ, შორეულ რეისში გადის. წინ დიდი და ძნელი გზა გვიძევს. ბევრი ქარიშხალი და შტორმული ქარი გადაუქროლებს ზღვებისა და ოკეანეების თვალუწვდენ სივრცეებს, ხანამ უკან დავბრუნდებით.

ტუაფსის ნავსადგურიდან მაზუთი მიგვაქვს განაში. იქიდან აფრიკის შემოვლით ჩავალთ სპარსეთის ყურის ნავსადგურ ფაოში და ბულგარეთისათვის წამოვიღებთ ნავთობნედლეულს. მრავალი უძილო ღამე დაგვათენდება თავზე და მრავალი ბობოქარი ტალღა შეეხეთქება ჩვენი გემის ქიმს ამ დროის განმავლობაში.

და იოლი მისახვედრია, რაოდენ ძნელი იქნება ეს რეისი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ეს-ეს არის დავბრუნდით შორეული მგზავრობიდან, რომელმაც 85 დღეს გასტანა.

გასული წლის დასაწყისში ჩვენმა კოლექტივმა საფუძვლიანად აწონდაწონა ყველა შესაძლებლობანი და შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ეკონომიური ანალიზის ჯგუფის ხელშეწყობით შეიმუშავა და მიიღო 1972 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. ამასთან ეკიპაჟი საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებს შორის ერთ-ერთი პირველი ჩაება სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენ ეს ვალდებულება პირნათლად შევასრულეთ.

საიუბილეო შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის ჩვენი ეკიპაჟი დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ვიმპელით, აგრეთვე საზღვაო ტრანსპორტის სამინისტროსა და სამდინარო და საზღვაო ფლოტის პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელითა და პირველი ფულადი პრემიით. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ კი „ბათუმის" ეკიპაჟი ცნეს იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მოგვანიჭეს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელობის, პარტიული კომიტეტისა და მცურავი შემადგენლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით საიუბილეო შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენს ტანკერს მიეკუთვნა პირველი ადგილი და სამახსოვრო დროშა. საბოლოოდ, ეკიპაჟს მიეკუთვნა „სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ეკიპაჟის" მაღალი წოდება.

ჩვენ შორეული რეისიდან ვბრუნდებოდით, როდესაც გავიგეთ ეს სასიხარულო ამბავი. ეკიპაჟმა დიდი კმაყოფილების გრძნობით მიიღო ეს ცნობა. ამ საერთო წარმატებაში ხომ ეკიპაჟის თვითეულ წევრს — შტურმანებს ს. ლოშაკსა და ტ. ფარსენაძეს, მექანიკოსებს ა. ხითაშვილსა და ლ. კუჩანსკის, ბოცმან ვ. ჭითანავასა და სპეციალისტ ა. ტვერიკინს, მეზღვაურებს მ. ფირცხალაშვილს, ჯ. ბაგრატიას, თ. ფირცხალავას, დ. ნადარეიშვილს, მოტორისტებს ი. სრაბონიანს, ა. ირმაკსა და სხვებს — სათანადო წვლილი ჰქონდა შეტანილი.

ამ დღეებში, ჩვენი გემის წითელ კუთხეში ჩატარდა საზეიმო კრება, რომელზეც ეკიპაჟს გადაეცა საიუბილეო ჯილდოები. კრებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა ან. კაჭარავამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ეკიპაჟის საქმიანობას და გვისურვა ახალი შრომითი წარმატებები...

ტანკერი „ბათუმი" საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ერთ-ერთი ახალი გემია. მასზე სახელმწიფო დროშა 1971 წლის 5 ოქტომბერს აღიმართა. რით შევძელით ჩვენ ამ მოკლე დროში შეგვექმნა მტკიცე, შრომისმოყვარე კოლექტივი? ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის გემის ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც თავიდანვე უმთავრეს ამოცანად დაისახეს კადრების სწორი შერჩევა, მათი სწორი განაწილება, ეკიპაჟის თვითეულ წევრთან ინდივიდუალური მიდგომა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ გემზე დიდი ყურადღება ექცევა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სახომალდო საბჭოს მუშაობას. ადმინისტრაციასთან ერთად საბჭო და ეკონომიური ანალიზის ჯგუფი ადგენდა გემის საქმიანობის კონკრეტულ გეგმებს, განიხილავდა სარეისო გეგმის ყოველ ოპერაციას, იღებდა საჭირო გადაწყვეტილებებს მისი ვადამდე შესრულებისათვის. ზოგიერთი ანალიზი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზემდგომი ორგანოების დიდი მხარდაჭერა დაიმსახურა.

ასე, მაგალითად, ბოლო რეისის დასასრულს ჯგუფმა დაიანგარიშა და დაასკვნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა გემის საწვავის მხოლოდ ერთი მიმართულებით აღება, უკან გზაზე კი მისი უცხოურ ნავსადგურებში ყიდვა. წინასწარი გამოანგარიშებით მარტო ეს მოგვცემს 10.000 მანეთ ზეგეგმით მოგებას.

გემზე გაცხოველებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმოებს, რაც ხელს უწყობს ეკიპაჟის თვითეულ წევრში მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას, საერთო საქმისათვის თავდადებას. ერთი მაგალითი. ხმელთაშუა ზღვაში, ალჟირის ნაპირებთან, ძლიერი შტორმის დროს ქარმა მოგლიჯა მაშველი კანჯოების სამაგრები. შეიქმნა მათი საშტატო ადგილებიდან ამოვარდნის საშიშროება, რასაც შეიძლებოდა გამოუსწორებელი შედეგი მოჰყოლოდა. მეტად მძიმე პირობებში, როდესაც გემის გადახრა დროდადრო კრიტიკულ ზღვარს აღწევდა, საგემბანო გუნდმა ბოცმან ვალერი ჭითანავას მეთაურობით გააკეთა ყველაფერი, რათა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი საშიშროება. მეორე შემთხვევა. შარშან ვასრულებდით საკაბოტაჟო რეისს — ნოვოროსიისკი-ოდესა. იალტის მახლობლად სამანქანო განყოფილების ვახტის ყურადღებიანობისა და სიფხიზლის წყალობით დროულად იქნა შემჩნეული ბზარი მთავარ ძრავში. უმოკლეს ვადაში მექანიკოსებისა და მოტორისტების ორგანიზებულობის, გამოცდილებისა და ცოდნის მეოხებით ძრავი შეკეთდა და გემი დროულად მივიდა დანიშნულების ნავსადგურში.

დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალისტების აღზრდას, შემდგომ დაოსტატებას, კაპიტნის მეორე თანაშემწე სტანისლავ ლოშაკი, მაგალითად, კაპიტნის უფროსი თანაშემწე გახდა, მეორე მექანიკოსი იური ასათიანი — უფროსი მექანიკოსი, მოტორისტი იზეთ ქიქავა — მეოთხე მექანიკოსი, მეზღვაური იაკიმ ნარაკიძე — მეოთხე თანაშემწე და სხვ. დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის გემზე შექმნილია ცოდნის დონის ამაღლების ყველა პირობა. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მათთან ეკიპაჟის უმაღლესი განათლების მქონე წევრებისაგან შექმნილი საგანგებო საკონსულტაციო ჯგუფი. წარმატებით სწავლობენ დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში უფროსი მექანიკოსი იური ასათიანი, მეორე მექანიკოსი ამირან ხითარიშვილი, კაპიტნის მესამე თანაშემწე ტარიელ ფარსენაძე, მეოთხე მექანიკოსი იზეთ ქიქავა, მეზღვაური ნუგზარ ნაკაშიძე, მოტორისტები იოსებ სრაბონიანი და სერგო გურგენიძე. საშუალო საზღვაო სასწავლებელში სწავლობენ ბოცმანი ვალერიან ჭითანავა, მეზღვაურები თენგიზ ფირცხალავა და დავით ნადარეიშვილი.

ეკიპაჟის წინაშე დასახული მაღალი ამოცანების შესახებ გვქონდა სჯა-ბაასი ამასწინანდელ საერთო პროფკავშირულ კრებაზე, რომელზედ განვიხილეთ და მივიღეთ 1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი. მიზნად დავისახეთ 1973 წლის წლიური გეგმა შევასრულოთ 18 დეკემბრისათვის. ჩვენი მიზანია, წელს სახელმწიფოს სულ ცოტა 184.185 მანეთი დამატებითი მოგება მივცეთ.

... გავდივართ შორეულ რეისში. წინ დიდი გზა და სიძნელეებით აღსავსე დღეები გველოდება. დავბრუნდებით და სახელმწიფო დავალება პირნათლად გვექნება შესრულებული. სხვანაირად არც შეიძლება — ყოველთვის ვეცდებით ვიყოთ „სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ეკიპაჟის" მაღალი წოდების ღირსეული მატარებლები.

ვ. ჩხაიძე,
ტანკერ „ბათუმის" კაპიტანი.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ტანკერ „ბათუმის" კაპიტანი ვახტანგ ჩხაიძე; ქვემოთ — ტანკერი „ბათუმი".

ნ. ანასტასიევის ფოტო.



ათასნაირი ამბები

მოიპარეს ნიანგები

სიდნეის (ავსტრალია) პოლიცია თავქუდმოგლეჯილი ეძებს ქურდებს, რომლებმაც ტარონგაპარკის ზოოლოგიური ბაღიდან მოიპარეს... ორი ნიანგი.

ჯერჯერობით ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო, იუწყება ტანიუგის სააგენტო სიდნეიდან. ზოოლოგიური ბაღის დირექცია საფუძვლიანად არის შეშფოთებული იმით, რომ ნიანგები შესაძლებელია მსხვერპლი გახდნენ ბრაკონიერთა სიხარბისა, რომლებიც მათს ძვირფას ტყავს ქალის ხელჩანთებისა და ფეხსაცმლისათვის გამოიყენებენ. სიდნეის მოსახლეობას კი სულ სხვა რამ აწუხებს. ისინი შიშობენ, რომ შესაძლოა დაკარგული ნიანგები მათ ქალაქის რომელიმე წყალსაცავში შეხვდნენ.

შეცდომა თუ დანაშაული?

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამსახურის მოხელეები თვალს ვერ უსწორებენ თავიანთ კოლეგებს. საქმე კი შემდეგში იყო...

ამას წინათ ლონდონის ავეჯის სალონში მყიდველთა ყურადღება მიიპყრო იმან, რომ გარნიტურები და ცალკეული საგნები შეფუთული იყო უცნაურ ქაღალდში. მალაზიაში სასწრაფოდ გამოძახებულმა სპეციალისტებმა გასინჯეს ქაღალდი და თავში ხელი იტაცეს... ავეჯის შესაფუთავად გამოყენებული იყო სამხედრო უწყების საიდუმლო რუკები და ტაქტიკური ნახაზები. დაინიშნა სპეციალური გამოძიება, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს დამნაშავე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

25 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.05 — ბავშვებისათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად" (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლაზარე", 13.10 — კინონარკვევი, 13.30 — „კინოაფიშა", 14.00 — კინონარკვევი „მოსავლის ინდუსტრია" (ქართულ ენაზე), 14.10 — ბავშვებისათვის. „ჯადოსნური ეკრანი" ჩეხოსლოვაკური მრავალსერიიანი ფილმი „გულკო ბამბულკო" (მეოთხე სერია) ქართულ ენაზე, 14.25 — სატელევიზიო ფილმი, 15.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ცოდნა", 15.40 — კინონარკვევი, 15.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა", 16.50 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი ვიქტორინა". საქართველოს სსრ, 18.00 — ფერადი ტელევიზია „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 —„საკონსულტაციო პარტია ჭადრაკში", 19.10 — მსოფლიო დღეს, 19.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველო", 20.55 — „საკონსულტაციო პარტია ჭადრაკში", 21.00 — „ჩემი სოფელი", 21.25 — კონცერტი ქართული ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 —„საკონსულტაციო პარტია ჭადრაკში", 22.45 — საესტრადო სუვენირები, 23.25 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" (თბილისი)-„სპარტაკი" (ლენინგრადი) მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით

19.05 — კონცერტი, 19.50 — ტელეფილმი, 20.35 — მხატვრული ფილმი „მეფე ლირი" (მეორე სერია).

26 თებერვალი

პირველი პროგრამით

17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.50 — კინონარკვევი, 18.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია—„ცეროდენას ეკრანი", 18.35 — განცხადებები, 18.40 — გადაცემა ციკლიდან „პოლიტიკური ენციკლოპედია", 19.10 — ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითი საღამო მოსკოვში, 20.00 — კინონარკვევი, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" (მეექვსე სერია) ქართულ ენაზე, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „თვიდან თვემდე".

მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა და ლიტერატურა (მეოთხეკლასელთათვის ს. ნიკო ლომოური), 18.00 — შრომითი პოლიტექნიკური სწავლება. (მერვეკლასელთათვის. დეტალები და მექანიზმები), 18.45 — განცხადებები, 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 19.50 — ლექცია ფილოსოფიაში, 20.35 — მხატვრული ფილმი „კვლავ გზად".

სპორტი

საჭადრაკო მერიდიანებზე

ტალინი. გაიმართა 3 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება. ნეი თამაშის განუახლებლად დანებდა ტალს. ესტონელმა ოსტატმა რიტოვმა ორი გამარჯვება იზეიმა — პოპოვსა (ბულგარეთი) და ვესტერინენთან (ფინეთი). ბრონშტეინმა მოუგო კიარნერს, ტიმანმა (ჰოლანდია) — პშიბილს (ჩეხოსლოვაკია), კერესმა—პოპოვს.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ 2,5 ქულა აქვთ ტალს, კერესსა და რიტოვს, ორ-ორი ქულა — სპასკის, პოლუგაევსკის, ბრონშტეინსა და ბალაშოვს.

ამსტერდამი. ფიდე-ს კომისიამ პროფესორ მაქს ეივეს ხელმძღვანელობით საზონათშორისო ტურნირების მონაწილენი ორ, დაახლოებით თანაბარ ჯგუფად დაყო. საზონათშორისო ტურნირები გაიმართება ლენინგრადსა (2-29 ივნისი) და ქალაქ ბრაზილიაში (20 ივლისი — 20 აგვისტო). სამ-სამი გამარჯვებული პრეტენდენტთა 1974 წლის ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს, სადაც მათ დაემატებიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები სპასკი და პეტროსიანი.

ლენინგრადში ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი, გროსმაისტერები კარპოვი, კორჩნოი, ტაიმანოვი, ტუკმაკოვი, საერთაშორისო ოსტატი კუზმინი (ყველა — საბჭოთა კავშირი), გროსმაისტერები ლარსენი (დანია), გლიგორიჩი (იუგოსლავია), ულმანი (გდრ), სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია), ჰიუბნერი (გფრ), ბირნი (აშშ) და კიდევ 6 საერთაშორისო ოსტატი.

ბრაზილიაში იასპარეზებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი, გროსმაისტერები გელერი, კერესი, პოლუგაევსკი, სავონი, შტეინი (ყველა — საბჭოთა კავშირი), პორტიში (უნგრეთი), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ივკოვი, ლიუბოევიჩი (ორივე — იუგოსლავია), გეორგიუ (რუმინეთი), პანო (არგენტინა), რეშევსკი (აშშ), მეკინგი (ბრაზილია) და 6 საერთაშორისო ოსტატი.

ფეხბურთი

ევროპის პირველი ნომრები

ჟურნალისტები ასახელებენ საუკეთესოებს

წლის დამდეგს ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ საუკეთესო ფეხბურთელთა გამოსავლინებლად ჟურნალისტთა ტრადიციული რეფერენდუმი მოაწყო.

აი ვინ გახდა თავის ქვეყანაში პირველი ლაურეატი გასული წლის შედეგების მიხედვით: ავსტრია — გალოში („რაპიდი"), ინგლისი — ბენქსი („სტოკ სიტი"), ბელგია — პიოო („სტანდარდი"), გდრ — კროი („საქსონრინგი"), გფრ — ნეტცერი („ბორუსია"), დანია — რონტვედი („ბრონშოი"), იტალია — ალტაფინი („იუვენტუსი"), ლუქსემბურგი — პილო („ანტვერპენი ბელგია), ნორვეგია — იენსენი („ბრანი"), პოლონეთი — დეინა („ლეგია"), რუმინეთი — დინუ („დინამო"), უნგრეთი — ბ. იუჰასი („დოჟა"), ფინეთი — ტოივოლა („ტურკუ"), საფრანგეთი — ტრეზორი („მარსელი"), ჰოლანდია — კრუიფი („აიაქსი"), ჩეხოსლოვაკია — ვიქტორი („დუკლა"), შვეიცარია — ოდერმატი („ბაზელი"), შვეცია — ედსტრემი („ატვიდაბერგი"), შოტლანდია — სმიტი („გლაზგო რეინჯერსი"), იუგოსლავია — ბაევიჩი („ველეჟი").

ჩვენს ქვეყანაში, როგორც ცნობილია, 1972 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიეკუთვნა ე. ლოვჩევს („სპარტაკი").

• • •

მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა ანგარიშით 0:1 დამარცხება განიცადეს ამხანაგურ მატჩში ინგლისის ჩემპიონატის მეორე ლიგის გუნდთან — ბრაიტონის „ალბიონთან".

თეატრები

25 თებერვალი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლხეთის ციხკარი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია, დედა! (დღისით), მოსამართლე (საღამოს 7 ს. და 30 წ.); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მარიცა, სიმღერა ტყეში (საღამოს).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფ 11300 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.